წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N19

ქ.წალენჯიხა 30 დეკემბერი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსულებელი , თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი

საკრებულოს 30 წევრიდან ონლაინ სხდომას ესწრებოდა 18 დეპუტატი: **დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ვალერიანე კვარაცხელია, იაგო მიქავა, ანზორ ძაძამია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, დავით ფიფია, ზურაბ სამუშია, ნონა მიქავა, ცოტნე მესხია, ასმათ კვარაცხელია,**

ონლაინ საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: სოლომონ სარია, გოჩა ლიპარტია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია,ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, ნონა გუჩუა, ირაკლი ხარჩილავა, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.

საკრებულოს ონლაინ სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა: გოჩა ლიპარტია.

სხდომას ონლაინ აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის მოადგილე ცოტნე შონია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი ჯემალ ბელქანია. საკრებულოსა აპარატის თანამშრომლები. (დამადასტურებელი ფოტომასალა თან ერთვის)

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 15:35 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 37).

დღის წესრიგი:

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის შესახებ

მომხსენებელი: თენგიზ ფიფია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: თენგიზ ფიფია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ჯემალ ბელქანია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

6.სხვადასხვა

მოისმინეს: 1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 19).

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.

[illegible] წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

[illegible]:

დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ კვების პროდუქტებზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით [illegible] სკოლამდელი აღზრდის ცენტრს და სათნოების სახლს კვების მუხლში გაეზარდოთ თანხა.

ასევე დავით ბელქანიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია 2021 წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის და ტურიზმის ხელშეწყობის მუხლში თანხის შემცირება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ამ მუხლში არსებული თანხა ვერ იქნა ათვისებული რაც საფუძველი გახდა აღნიშნულ მუხლში თანხის შემცირების.

დალი კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპებში არის შტატები გაზრდილი და მიმართა მუნიციპალიტეტის მერს გადაიხედოს მათი საშტატო ნუსხა.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ მერიამ გაითვალისწინა საკრებულოს შენიშვნები: კერძოდ თანხები გაეზარდა ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს და გენდერული თანასწორობის საბჭოს .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 20).

მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 38).

მოისმინეს:4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის შესაბამისად აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის გათვალისწინებით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმება საკრებულოსთან თუ ის 5 ერთეულზე მეტია.

[illegible]ებით ამისა, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ საკრებულოს აპარატში შრომითი [illegible]ულებით გათვალისწინებულ 3 (სამი) პოზიციას (სულ 8 ერთეული).

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 39).

მოისმინეს: 6 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

ჯემალ ბელქანიამ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის გათვალისწინებით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმება საკრებულოსთან თუ ის 5%-ზე მეტია, გათვალისწინებით ამისა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს 4 (ოთხი) პოზიციია, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ 5%-ზე მეტ 2 (ორი) პოზიციას, სულ 6 (ექვსი) პოზიცია.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 40).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: დარეჯან დადიანი